

საქართველოს კანონი
„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22(29), 1999 წელი, მუხ. 104) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს „3“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ფირნიშის ბლანკის დამზადება-გადაცემის მოსაკრებელი (შემდგომ მოსაკრებელი) – არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც იხდის აკრედიტებული ტესტირების ცენტრი, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშის ბლანკის დამზადებისა და მისთვის გადაცემისათვის გაწეული მომსახურებისათვის“.

2. მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიშების დამზადებასა და ტესტირების ცენტრისათვის გადაცემას უზრუნველყოფს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ტესტირების ცენტრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს ფირნიშების რაოდენობა, უნდა დაერთოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი“.

3. მე-11 მუხლს დაემატოს 5¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5¹. მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 1,50 ლარს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ფირნიშის თითოეულ ბლანკზე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე